სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/124

ქ. თბილისი

8 ივლისი 2025წ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასების და განვითარების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ივანე ჯაგოდნიშვილის 2025 წლის 7 ივლისის სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 8 ივლისის №01-05-02/17 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი (დანართი).
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასების და განვითარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 28 ივნისის №01-05-04/176 დადგენილება.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასების, განვითარების, მასში ცვლილების შეტანის და გაუქმების წესი

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასების, განვითარების, მასში ცვლილების შეტანის და გაუქმების წესი“ შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბერის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების II თავის მე-8 მუხლის საფუძველზე.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდეგში ,,უნივერსიტეტი“) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდეგში ,,პროგრამა“) შემუშავების, შეფასების, განვითარების, მასში ცვლილების შეტანის და გაუქმების პროცედურას.
2. პროგრამა წარმოადგენს უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ დოკუმენტს და ის აერთიანებს სასწავლო მიზნებს, სწავლის შედეგებს, მოდულს/მოდულებს (შესაბამისი კრედიტებით), სწავლების მეთოდებს, შეფასების ფორმების და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებებს. პროგრამა სრულდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით (შემდეგში ,,სტანდარტი“) გათვალისწინებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3/მე-4/მე-5 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით და დიპლომის გაცემით.
3. პროგრამის შემუშავების საფუძველს წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი/ჩარჩო დოკუმენტი.
4. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით/ჩარჩო დოკუმენტით განისაზღვრება პროგრამის შინაარსი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მისაღწევი სწავლის შედეგები, მნიშვნელოვანი ზოგადი უნარები, დამოკიდებულებები და შესაძლებლობები, შესაბამისი კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო კრედიტების რაოდენობა, იმ მოდულების ერთობლიობა, რომლებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა აუცილებელია კვალიფიკაციის მისანიჭებლად. შესაბამის პროგრამაზე დაშვების და ამ პროგრამის განხორციელების წინაპირობები, დასაქმების სფეროები და პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული მოთხოვნები (მათი არსებობის შემთხვევაში).
5. პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას და ეფუძნებოდეს დაინტერესებული მხარეების - სტუდენტების, კურსდამთავრებულების, მასწავლებლების, დამსაქმებლების და სხვა პირების გამოკითხვის ანალიზს.
6. პროგრამის შემუშავება და წარმართვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის და ამ წესის შესაბამისად, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინირებით.

მუხლი 2. პროფესიული განათლება და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

1. პროფესიული განათლება ხორციელდება შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით:
   ა) საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც სრულდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით;
   ბ) საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც სრულდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-4 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით;
   გ) უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც სრულდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი.
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობაში მოყვანას. ამასთან, უნივერსიტეტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პროფესიული სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის გაუქმების შემთხვევაში, რომლის ფარგლებშიც შემუშავებული იყო პროგრამა, ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს დაასრულებინოს სწავლა.

მუხლი 3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და დამტკიცების პროცედურა

1. პროგრამის შემუშავების ინიცირება ხდება დაინტერესებული პირის/პირების მიერ. ინიციატივა განხილულ უნდა იქნეს ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე. ფაკულტეტის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, საბჭო აყალიბებს პროგრამის პროექტის შედგენაზე მომუშავე ჯგუფს და ნიშნავს პროგრამის დროებით ხელმძღვანელს, რაც შემდგომ უნდა აისახოს ფაკულტეტის საბჭოს ოქმში.
   ჯგუფში შეიძლება შედიოდნენ:
   ა) ფაკულტეტის დეკანი ან/და დეკანის მოადგილე;
   ბ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი/ წარმომადგენელი;
   გ) პროგრამის ინიციატორი;
   დ) პროგრამის დროებითი ხელმძღვანელი;
   ე) პროგრამის შესაბამისი მიმართულების ან დარგის პროფესიული განათლების მასწავლებლები/პრაქტიკის ინსტრუქტორი (მათი არსებობის შემთხვევაში);
   ვ) დამსაქმებლები (უნივერსიტეტის პარტნიორი ორგანიზაციები);
   ზ) პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაცი(ები)ა;
   თ) პროფესიული ასოციაციის წარმომადგენლები;
   ი) შესაბამისი დარგის სპეციალისტი;

კ) სხვა პირები.

2. პროგრამის პროექტის სამუშაო ჯგუფი ახორციელებს შემდეგ აქტივობებს:

ა) შეისწავლის შესაბამის საგანმანათლებლო სტანდარტს/ჩარჩო დოკუმენტს;

ბ) აანალიზებს პროგრამის სახელწოდებას, რომელიც უნდა შეესაბამებებოდეს პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს. პროგრამის დასახელება მარკეტინგული დატვირთვის მატარებელია. ამიტომ, ის შესაძლოა განსხვავდებოდეს მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელებისაგან, თუმცა არ უნდა იყოს შეცდომაში შემყვანი;

გ) განსაზღვრავს პროგრამისთვის არჩევით მოდულ(ებ)ს (იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული საგანმანათლებლო სტანდარტი/ჩარჩო დოკუმენტი იძლევა არჩევითი მოდულების ინტეგრირების შესაძლებლობას). არჩევითი მუდულ(ებ)ი ვალიდური უნდა იყოს მოცემული პროგრამისათვის, ლოგიკურ კავშირში უნდა იყოს მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

დ) განახორციელებს საგანმანათლებლო სტანდარტით/ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებული მოდულების ადაპტირებას.

3. პროგრამის შემუშავებას წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი, რომელიც უნდა მოიცავდეს ბაზრის კვლევას: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მოძიებას, იმ უნარების, ცოდნის და კვალიფიკაციის მიხედვით, რასაც კურსდამთავრებულს მისცემს პროგრამა, დამსაქმებელთა კონკრეტულ მოთხოვნებს, რეგიონის შრომის ბაზრის საჭიროებების შესახებ, პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს ან/და სხვა ორგანიზაციების/დაწესებულებების მიერ განხორციელებული კვლევის მონაცემებს. შეხვედრებს პროგრამის სავარაუდო განმახორციელებელ პერსონალსა და პოტენციურ დამსაქმებლებთან, რესურსების ანალიზს და კონსულტაციას უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

4. პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ გარემოებებს:

ა) არსებობს ან პროგნოზირებულია მოთხოვნა შესაბამის უნარებზე/სამუშაო პოზიციებზე, რაც დასტურდება კვლევებით ან დამსაქმებლების ინიციატივებით. არგუმენტაცია შესაძლოა ეფუძნებოდეს როგორც უშუალოდ უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული მოკვლევას, შეხვედრებს დამსაქმებლებთან და სხვ., ასევე, სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების მონაცემებს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებს და სხვ.;

ბ) უნივერსიტეტი აფართოებს პროგრამათა სპექტრს მისი საქმიანობის ძირითადი პროფილური მიმართულების ფარგლებში;

გ) პროგრამის ფარგლებში შეძენილი უნარები იძლევა თვითდასაქმების საშუალებას ან ხელს უწყობს პიროვნების პიროვნული ინტერესების რეალიზაციას ან სოციალურ ინტეგრაციას, რაც გამომდინარეობს პროგრამის შინაარსიდან;

დ) სხვა არსებითი გარემოებები, რომლებიც შესაძლოა გამოყენებული იქნეს არგუმენტებად ახალი პროგრამის შემუშავებისათვის.

5. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადის

ფორმით განსაზღვრული დოკუმენტები, გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემოწმების მიზნით. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნა, წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით გადაეცემა ფაკულტეტის დეკანს და სამუშაო ჯგუფს, შემდგომი რეაგირებისთვის.

6. ფაკულტეტის დეკანი, სამსახურებრივი ბარათით დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის (eFlow) საშუალებით, პროგრამის დამატების შესახებ განაცხადის ფორმით განსაზღვრულ დოკუმენტებს, პროგრამის პროექტს და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საბოლოო დასკვნას, შეთანხმების მიზნით წარუდგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროფესიული პროგრამების განყოფილება, წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისობას ამოწმებს ავტორიზაციის სტანდარტ(ებ)ის მოთხოვნებთან და წერილობითი ფორმით რეკომენდაცი(ებს)ას წარუდგენს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს.
7. რეკომენდაციების არსებობის შემთხვევაში, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროგრამის დროებითი ხელმძღვანელი და პროგრამის შედგენასთან დაკავშირებული პირები მსჯელობენ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე. იმ შემთხვევაში თუ, სამუშაო ჯგუფის მიერ არ მოხდა რომელიმე რეკომენდაცი(ებ)ის გათვალისწინება, პასუხისმგებლობა ეკისრება ფაკულტეტს.
8. შეთანხმებული პროგრამის პროექტს, ფაკულტეტის დეკანი ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს განხილვის მიზნით. ფაკულტეტის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, დეკანი მოხსენებით ბარათს, ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან ამონაწერს და პროგრამის პროექტს წარუდგენს რექტორს, აკადემიურ საბჭოს სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.
9. აკადემიური საბჭო განიხილავს პროგრამას და თანდართულ დოკუმენტებს და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ამტკიცებს პროგრამას და პროგრამის ხელმძღვანელს, აგრეთვე იღებს გადაწყვეტილებას, პროგრამის დამატების მიზნით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენის თაობაზე.
10. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ხელმოწერის მიზნით წარუდგენს პროგრამას და სასწავლო გეგმას ბეჭდური სახით (სამ ეგზემპლარად), ხოლო თანდართულ დოკუმენტაციას წარუდგენს დისკით (CD).
11. უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტი უზრუნველყოფს ავტორიზაციის მიზნით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადის და ამ განაცხადით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაციის წარდგენას სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.
12. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამას და თანდართულ დოკუმენტებს ელექტრონული სახით შესანახად გადასცემს ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილ კორპორაციული შესაბამისობის ამსახველ საინფორმაციო ბანკში. პროგრამის და სასწავლო გეგმის ერთი ეგზემპლარი ინახება პროფესიული პროგრამების

განყოფილებაში, ერთ ეგზემპლარს გადასცემს სასწავლო პროცესების მართვის სამსახურს. პროგრამის ერთი ეგზემპლარი უბრუნდება ფაკულტეტს.

13. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ, პროგრამისთვის განხორციელების უფლების მინიჭების შემთხვევაში, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს შესაბამისი ინფორმაციის ასახვას საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში და პროგრამის შესახებ ინფორმაციის განთავსებას ფაკულტეტის ვებგვერდზე.

მუხლი 4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა, პროგრამის ადაპტირება

1. პროგრამა უნდა აკმაყოფილებდეს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის, ასევე წინამდებარე წესით დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს და მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

   ა) სატიტულო ფურცელს, რომელზეც განთავსებულია უნივერსიტეტის ლოგო, პროგრამის აკადემიური საბჭოს სხდომაზე დამტკიცების/მოდიფიცირების რეკვიზიტები, პროგრამის დასახელება (ქართულ და ინგლისურ ენაზე) და ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის საკონტაქტო ინფორმაცია;

   ბ) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის დასახელებას (ქართულ და ინგლისურ ენაზე), რომლის საფუძველზეც იქმნება პროგრამა;

   გ) სარეგისტრაციო ნომერს;

   დ) მისანიჭებელ კვალიფიკაციას (ქართულ და ინგლისურ ენაზე);

   ე) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანს;

   ვ) კვალიფიკაციის დონეს და აღწერას ევროპული და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით;

   ზ) დასაქმების შესაძლებლობებს;

   თ) დაშვების წინაპირობა/წინაპირობებს;

   ი) სწავლის შედეგებს;

   კ) სწავლის შდეგების დეტალურ აღწერას;

   ლ) პროგრამის სტრუქტურას და მოდულებს;

   - ✓ ქართულენოვანი სტუდენტებისთვის;
   - ✓ არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის.

   მ) სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების და კრედიტის მინიჭების შესახებ;

   ნ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის;

   ო) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შემუშავების სამართლებრივ საფუძვლებს;

   პ) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას;

ჟ) პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების და კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო კრედიტების (ECVET) რაოდენობის შესახებ;

რ) პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილის შესახებ.

2. პროგრამას ხელს აწერს:
   - ✓ პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები;
   - ✓ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
   - ✓ ფაკულტეტის დეკანი;
   - ✓ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი („შეთანხმებულია“);
   - ✓ ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე (მიღებულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე).
3. ერთი და იმავე პროფესიულ სპეციალიზაციაზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა მიდგომით, რომელთაგან ერთი განსაზღვრავს სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებულ 50%-ზე მეტი სწავლის შედეგების რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევას.
4. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული (ზოგადი, პროფესიული და არჩევითი - არსებობის შემთხვევაში) მოდულებით გათვალისწინებული ყველა კრედიტი (ECVET), რომელიც გამოხატავს პროფესიული სტუდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას და პირობით დროს.
5. პროგრამა მოიცავს სამი ტიპის მოდულებს: ზოგად, პროფესიულ (სავალდებულო) და არჩევით მოდულებს (არსებობის შემთხვევაში). ზოგადი და პროფესიული მოდულები სავალდებულოა და მათი შეცვლის უფლება უნივერსიტეტს არ აქვს.
6. პროგრამა უნდა მოიცავდეს ქართული ენის მოდულ(ებ)ს, როგორც ყველა საგანმანთლებლო პროგრამის შემადგენელ აუცილებელ ნაწილს.

   ქართული ენის მოდულები შექმნილია არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის და საშუალებას იძლევა, გაიზარდოს პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა.
7. პროგრამას დანართის სახით თან უნდა ახლდეს სასწავლო გეგმა, რომელიც უნდა იძლეოდეს პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების შესაძლებლობას, დაცული უნდა იყოს მოდულებზე დაშვების წინაპირობები (არსებობის შემთხვევაში). სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ უნდა იყოს 30 საათზე ნაკლები და 40 საათზე მეტი (დატვირთვაში იგულისხმება დამოუკიდებელი საათებიც).
8. პროგრამას დანართის სახით თან უნდა ახლდეს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ჩამონათვალი, რომელიც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბაზაზე (მის მფლობელობაში არსებული). იმ შემთხვევაში, თუ პროგრამა იყენებს პარტნიორი ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობას, უნდა არსებობდეს ოფიციალური შეთანხმება ხსენებული აღჭურვილობით სარგებლობის შესახებ (მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობის ჩამონათვალით).
9. პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსის მიერ, რომელიც თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგის

გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს. 20 (ოცი) პროფესიულ სტუდენტზე უნდა არსებობდეს პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი. სასურველია, რომ მხოლოდ ერთი პირი არ იყოს მოდულის განმახორციელებელი ან/და არ იყოს მოდულების უმრავლესობის განმახორციელებელი. პროგრამის განხორციელების მდგრადობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იყოს ერთზე მეტი დარგის სპეციალისტი.

მუხლი 5. მოდულის შემუშავება/ადაპტირება

1. მოდული არის პროგრამის დანართი, ის მტკიცდება პროგრამასთან ერთად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოდული დამოუკიდებელი კურსის სახით ხორციელდება (ასეთ შემთხვევაში, მოდული მტკიცდება ცალკე).
2. მოდული განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტისათვის სავალდებულოდ მისაღწევ სწავლის შედეგებს და ამ შედეგების მიღწევის საშუალებებს. მოდულის დასრულების შემდეგ პროფესიულ სტუდენტს ენიჭება შესაბამისი კრედიტი.
3. თითოეული მოდული მოიცავს კრედიტის გარკვეულ რაოდენობას.
4. მოდული მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:
   - ✓ მოდულის სახელწოდება;
   - ✓ მოდულის სტატუსი;
   - ✓ ზოგადი ინფორმაცია;
   - ✓ სტანდარტული ჩანაწერები;
   - ✓ დამხმარე ჩანაწერები;
   - ✓ საათების განაწილების სქემა;
   - ✓ სასწავლო რესურსი;
   - ✓ სსსმ და შშმ სტუდენტების სწავლებას;
   - ✓ ინფორმაციას მოდულის განმახორციელებელი პირების შესახებ.
5. თუ მოდული არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, სავალდებულოა ამ მოდულებს შორის სწავლება განხორციელდეს არაუმეტეს 10 დღიანი (კალენდარული დღე) ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასების ჩატარების პრობლემა.
6. მოდულის შეცვლის, მოდულის დამატების ან ამოღების შემთხვევაში გამოიცემა ახალი სამართლებრივი აქტი პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე. მოდულის დამხმარე ჩანაწერებში ცვლილების შეთხვევაში, მოდულს ამტკიცებს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო და ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან ამონაწერი, განხორციელებული ცვლილების დეტალური აღწერილობით წარედგინება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.
7. მოდულები შედგება სამი ნაწილისგან: ზოგადი ინფორმაცია, სტანდარტული ჩანაწერები და დამხმარე ჩანაწერები.
8. მოდულის პირველ (ზოგადი ინფორმაცია) და მეორე (სტანდარტული ჩანაწერები) ნაწილ(ებ)ში რაიმე ცვლილების განხორციელება დაუშვებელია. თუ მოდულის სტანდარტულ ჩანაწერებში დაფიქსირდება ხარვეზ(ებ)ი, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს ინფორმირებას.

9. დამხმარე ჩანაწერ(ებ)ი ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს და მათში ცვლილებ(ებ)ის შეტანა დასაშვებია სათანადო დასაბუთებით. შესაძლებელია შეიცვალოს სწავლის მიდგომები, და მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტები, ასევე შესაძლებელია ამოღებული იქნეს მოდულის განმახორციელებელი პირის/პირების შესახებ ინფორმაცია, ამ შემთხვევაში ეს ინფორმაცია დეტალურად იქნება მითითებული პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის ფორმაში.
10. საათების განაწილების სქემაში დასაშვებია ცვლილება, როგორც სტუდენტის დატვირთვის სახეებს შორის (ჰორიზონტალურად), ასევე სწავლის შედეგებს შორის (ვერტიკალურად), თუმცა, არა დამოუკიდებელი საათების სასარგებლოდ (დამოუკიდებელი მუშაობის საათები არ უნდა გაიზარდოს).
11. უნივერსიტეტი უფლებამოსილია შეცვალოს თემატიკა, მხოლოდ მისაღწევი სწავლის შედეგების კონტექსტში ან შეცვალოს სწავლის მეთოდები საკუთარი შეხედულებისამებრ. სწავლის შედეგების შეფასება შესაძლებელია მოხდეს როგორც ცალ-ცალკე, ასევე რამდენიმე სწავლის შედეგისა ერთად (მათ შორის, ერთი ინსტრუმენტით).
12. მოდულში მიეთითება მოდულის განხორციელების ადგილი (უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული შესაბამისი აუდიტორია/პრაქტიკის განხორციელების ობიექტი, A, B, C - გარემო).
13. პროგრამაში მითითებული რესურსი (მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა, სახელმძღვანელოები და სხვა) უნდა იძლეოდეს მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.
14. პროგრამის პროექტზე მომუშავე ჯგუფი მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან კონსულტაციით ახორციელებს დაწესებულების მფლობელობაში არსებულ რესურსის შედარებას საგანმანათლებლო სტანდარტში/მოდულში მოცემულ ტექნიკური აღჭურვილობის სარეკომენდაციო ჩამონათვალთან (შესაძლოა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით/ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული მატერიალური რესურსების სარეკომენდაციო ნუსხიდან რაიმეს ჩანაცვლება სხვა ალტერნატივით, გარკვეული მატერიალური რესურსი შესაძლოა ხელმისაწვდომი იყოს პრაქტიკის ობიექტზე, ეს უნდა განისაზღვროს წინასწარ სამუშაო ჯგუფის მიერ და შემდგომში უნდა აისახოს შესაბამის ხელშეკრულებაში. თუ სარეკომენდაციო ნუსხიდან რომელიმე აღჭურვილობა საერთოდ იქნა ამოღებული, ამ შემთხვევაში, ჯგუფმა უნდა დაასაბუთოს, რომ აღნიშნული აღჭურვილობა ან არაა საჭირო სწავლის შედეგის მიღწევისათვის, ან მისი ჩანაცვლება დაწესებულების მფლობელობაში არსებული რესურსით სტუდენტს გაიყვანს იგივე სწავლის შედეგზე.
15. მოდულის სწავლის შედეგის მიღწევა დადასტურებადი უნდა იქნეს შესაბამისი მტკიცებულებებით. მოდულის შეფასების მიმართულებები და ინსტრუმენტები უნდა ცხადყოფდეს თუ როგორ უნდა შეფასდეს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევა. უნივერსიტეტი უფლებამოსილია შეცვალოს შეფასებისათვის გამოყენებული ინსტრუმენტი,

რაც შესაფასებელი სწავლის შედეგის ადეკვატური უნდა იყოს და სანდო მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობას იძლეოდეს.

16. უნივერსიტეტი უნდა უზრუნველყოფდეს მის საბიბლიოთეკო ფონდში არსებული ყველა სახის ლიტერატურის პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომობას. პროგრამის პროექტის სამუშაო ჯგუფი აზუსტებს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსს, შესაძლებელია უცვლელად დარჩეს მოდულებში მითითებული ლიტერატურის და საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი. შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე, შესაძლოა ჩანაცვლდეს სხვა რესურსით, სათანადო პირებთან განმახორციელებლებთან კონსულტირებით. მოდულებში მითითებული ლიტერატურა უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის შედეგების მიღწევას. მოდულებში მითითებული სასწავლო რესურს(ებ)ის უახლესით გამრავალფეროვნება/დამატება/შევსება არ იწვევს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს სხდომაზე პროგრამის მოდიფიცირების მიზნით წარდგენას, ეს საკითხი განხილული და მოწონებული უნდა იქნეს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე. ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან ამონაწერი განხორციელებული ცვლილების დეტალური აღწერილობით და მოდულების ელექტრონული ვარიანტი (CD-დისკით), რომელთა ლიტერატურის ჩამონათვალიც შეიცვალა წარედგინება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

მუხლი 6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება

1. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (შემდეგში ,,სსსმ“) ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შემდეგში ,,შშმ“) პირთათვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესისა და საჭირო სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების არსებობას, აგრეთვე სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობას. ამ ვალდებულების შესრულების მიზნით უნივერსიტეტი შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) ან/და აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სტუდენტისათვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სსსმ ან/და შშმ სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში ინკლუზიური სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.
3. სწავლის დაწყებიდან 2-3 კვირის ვადაში, მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია აცნობოს სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ცენტრს, სსსმ და შშმ სტუდენტის სასწავლო საჭიროებ(ებ)ის შესახებ.

4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სსსმ ან/და შშმ სტატუსის მქონე სტუდენტისთვის იქმნება მოდულის სწავლის დაწყებისთანავე, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის მიერ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად და წარედგინება შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს დასამოწმებლად.
5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში ჩასატარებელი დამატებითი მეცადინეობების, რესურსის საჭიროებების და სხვ. შესახებ წერილობით ინფორმაციას ცენტრს წარუდგნეს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი.
6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება დგება ასევე პროფესიული სტუდენტის მობილობისას და სტუდენტის სტატუსის აღდგენის დროს. ასეთ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის ინიცირებას ახდენს ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან შეთანხმებით.
7. პროფესიული სტუდენტის სტატუს აღდგენილი ან პროგრამაზე მობილობით ჩარიცხული პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესადგენად იქმნება სამუშაო ჯგუფი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, პროგრამის ხელმძღვანელისა და მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლ(ებ)ის შემადგენლობით. შემუშავებული გეგმა წარედგინება ფაკულტეტის დეკანს დასამოწმებლად.

მუხლი 7. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა

1. პროგრამაში ცვლილებ(ები)ა შესაძლებელია განხორციელდეს პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის (პროგრამის შიდა და გარე შეფასების შედეგები), ააიპ - პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში განხორციელებული ცვლილებ(ებ)ის, დარგში მიმდინარე მნიშვნელოვანი ცვლილებ(ებ)ის, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში), საკანონმდებლო ცვლილებ(ებ)ის ან სხვა გარემოებ(ებ)ის საფუძველზე.
2. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია უნივერსიტეტის ხელმძღვანელ პირს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, პროგრამის ხელმძღვანელს და პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელს.
3. პროგრამაში ცვლილება ხორციელდება წინამდებარე წესით დადგენილი პროცედურებით.

მუხლი 8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)აზე სასწავლო პროცესის და პროგრამ(ებ)ის განხორციელების ხარისხის გასაუმჯობესებლად, შეფასების მიზნით სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს შიდა შეფასების მექანიზმს.

2. საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის განხორციელების შეფასების მექანიზმები მოცემულია უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში;
3. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მოიცავს ისეთ პროცესებს, როგორიცაა:
   ა) პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასება;
   ბ) სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენა;
   გ) მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება;
   დ) მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, მასალა-ნედლეულის საკმარისობის და ავთენტურობის შეფასება;
   ე) ვერიფიკაცია.
4. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
   ა) მონაცემების შეგროვება - პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების გამოყენებით: დარგში მიმდინარე ცვლილებების შესწავლა/პროგრამის შეფასება პირდაპირი (პროფესიულ სტუდენტთა შედეგების მიღწევის შესწავლა, სწავლის შედეგების შეფასება) და არაპირდაპირი მეთოდების (დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა) გამოყენებით;
   ბ) მონაცემების დამუშვება - მიღებული ინფორმაციის, გამოკითხვისა და შეფასების შედეგების ანალიზი;
   გ) გასაუმჯობესებელი მხარეების გამოყოფა - ანალიზის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამაში გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების განხილვა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების და სხვა პირების მიერ;
   დ) რეკომენდაციების შემუშავება და ცვლილებების დაგეგმვა - საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, პროგრამაში გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გასწორებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვა;
   ე) ცვლილებების განხორციელება - აღნიშნული რეკომენდაციების იმპლემენტაციაში და აქტებით განსაზღვრული მხარეების ჩართულობითა და პროცედურებით.
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება უნდა მოხდეს სსიპ -განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული გარე ინიცირების წესისა და პროცედურების შესაბამისად.
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელთან/პროფესიული განათლების მასწავლებელთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, ხარისხის შიდა და გარე შეფასების შედეგების გამოყენებით, შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროგრამების განვითარების კუთხით.
7. პროგრამ(ებ)ის განვითარების უზრუნველყოფას უნივერსიტეტი ახორციელებს თავისი შესაძლებლობების ფარგლებში და ასევე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოში წინადადებების ინიცირებების გზით.

საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, პროგრამების შეფასება შესაძლოა უკავშირდებოდეს:

ა) თემატიკის გამრავალფეროვნებას;
ბ) სასწავლო მეთოდების შეცვლას;
გ) საათების გადანაწილებას;
დ)სასწავლო რესურსის შეცვლას;
ე) პროფესიული განათლების მასწავლებლის შეცვლას და სხვა.

მუხლი 9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეჩერება/გაუქმება

1. პროგრამის შეჩერების/გაუქმების საფუძველი შესაძლოა გახდეს:
   ა) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ან/და ჩარჩო დოკუმენტის გაუქმება, ამ შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, პროგრამაზე ჩარიცხულ ყველა პროფესიულ სტუდენტს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად დაასრულებინოს სწავლა და მიენიჭოს პროფესიული კვალიფიკაცია/გასცეს სერტიფიკატი. ამ შემთხვევაში უნივერსიტეტი არ მიიღებს ახალ პროფესიულ სტუდენტს.
   ბ) სამი წლის განმავლობაში, ზედიზედ პროგრამის არ/ვერ განახორციელება, ან როდესაც დაწესებულების მიერ განხორციელებული კვლევით დადგინდება, რომ პროგრამა აღარ არის მოთხოვნადი შრომის ბაზარზე და უახლოეს პერიოდშიც არ ჩანს მისი განხორციელების პერსპექტივა. ან პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის შესწავლის შემდგომ დადგინდა, რომ მიღებული კვალიფიკაციით დასაქმების დონე არის ძალიან დაბალი.
   გ) სხვა შემთხვევა, რომელიც პროგრამის გაუქმებით არ დაარღვევს პროფესიული სტუდენტის კანონიერ ინტერესებს.
   დ) პროგრამის განხორციელების მხარდამჭერ გარე პარტნიორებთან თანამშრომლობის შეწყვეტა, საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება და სხვ.
2. პირველი პუნქტის ბ, გ და დ ქვეპუნქტების შემთხვევაში პროგრამის გაუქმების ინიციატორი შეიძლება იყოს: უნივერსიტეტი, ფაკულტეტი და სხვა.
3. პირველი პუნქტის ბ, გ და დ ქვეპუნქტების შემთხვევაში შესაბამისი სტრუქტურული ერთეული ან ფაკულტეტი ვალდებულია წარმოადგინოს დასაბუთებული ინიცირება წერილობითი ფორმით პროგრამის გაუქმებასთან დაკავშირებით.
4. გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ იღებს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო. გადაწყვეტილება ფაკულტეტის დეკანის მიერ წარედგინება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. პროგრამა გაუქმებულად ჩაითვლება აკადემიური საბჭოს დადგენილების გამოცემის შემდეგ.
5. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლისა ან გაუქმების შემთხვევაში (მათ შორის ავტორიზაციის დაკარგვის შემთხვევაში), დაწესებულება შესაბამისი უწყებების ინფორმირებას განახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6. აკადემიური საბჭოს დადგენილება საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ ეგზავნება უნივერსიტეტის შესაბამის ყველა სტრუქტურულ ერთეულს შემდგომი პროცესების განხორციელებისთვის.